

დოკუმენტის ასლის დამოწმება

საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია, დაამოწმოს დოკუმენტის ასლის შესაბამისობა დედანთან. შესაძლებელია ასევე, შესაბამისი წესის დაცვით დამოწმებული დოკუმენტის ასლის დამოწმებაც.

საკონსულო სამსახურში სანოტარო მოქმედებების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მოქალაქის და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ.

თითოეული გვერდის დამოწმებისათვის მომსახურების საფასურია 3 აშშ დოლარი. საფასურის გადახდა ხდება მანი ორდერის (Money Order) მეშვეობით. ეგზემპლარების რაოდენობიდან გამომდინარე იზრდება გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობაც.

მომსახურების მიღება შეგიძლიათ საკონსულოში ვიზიტით (წინასწარ ჩაწერით) ან ფოსტის მეშვეობით. დოკუმენტების ფოსტით გამოგზავნის შემთხვევაში საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნას უკან გამოსაგზავნი საფოსტო კონვერტი თქვენს მიერ შევსებული უკანდასაბრუნებელი მისამართით და საჭირო ოდენობის საფოსტო მარკებით.